ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1068186

ნომერი: AR1186122

თარიღი : 20.12.2013

გაცემის თარიღი : 06.01.2014

გაცნობის თარიღი : 10.01.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კაიროს ქუჩა N26-34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ჯიბლაძე პ/ნ 01014000597
- თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. N 48 კორ. 8 ბ. 86

ორგანიზაცია:

- შპს "კვაირი" კოდი: 406075991

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.09.2013 წ. #879127 გადაწყვეტილებითდამტკიცებულსამშენებლოდმიწისნაკვეთისგამოყენებისპირობებშიცვლილებისშეტანისთაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 20.12.2013 წ. #AR1186122 განცხადებით მომართა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შპს ,,კვაირი“–ს დირექტორმა შალვა ჯიბლაძემ და მოითხოვა 13.09.2013 წ. #879127 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, ვინაიდან განხორციელდა ფუნქციური ზონის ცვლილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 13.09.2013 წ. #879127 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ქუჩა კაირო N26-34 (ნაკვეთი N2/103)-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.19.21.002.212; ფართობი: 4500 კვ.მ.) საწყობის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული პირობები დადგინდა სამრეწველო ზონა 1 (ს–1)–ის და სატრანსორტო ზონა 1 (ტზ–1)–ის არეალში, ხოლო ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.12.2013 წ. #1036103 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.09.2013 წ. #879127 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაემატა ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.19.21.002.289 ფართობი – 2349 კვ.მ).

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ მოხდა ფუნქციური ზონის ცვლილება და აღნიშნული მიწის ნაკვეთზე ვრცელდება მხოლოდ სამრეწველო ზონა 1(ს–1).

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.09.2013 წ. #879127 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირებული იქნეს მხოლოდ ერთი ფუნქციური ზონა– სამრეწველო ზონა 1 (ს–1);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.09.2013 წ. #879127 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებიდან ამოღებული იქნეს მასში დაფიქსირებული შენიშვნა დაცული უნდა იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი და შენობა–ნაგებობის განთავსება უნდა განხორციელდეს სამრეწველო ზონა 1 (ს–1)–ის არეალში;
3. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.09.2013 წ. #879127 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში შენიშვნის სახით დაფიქსირდეს შემდეგი: შემდგომ სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს გენგეგმა მისასვლელი სამანქანო გზის ჩვენებით და ამ გზით სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.09.2013წ. #879127 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.